



უშიშროების საბჭო

გავრცელება: ზოგადი
2013 წლის 24 ივნისი

არაოფიციალური თარგმანი

რეზოლუცია № 2106 (2013)

მიღებულია უშიშროების საბჭოს მიერ 6984-ე სხდომაზე
2013 წლის 24 ივნისს

უშიშროების საბჭო,

ადასტურებს თავის ვალდებულებას, უწყვეტად და სრულად განახორციელოს რეზოლუციები 1265 (1999), 1296 (2000), 1325 (2000), 1612 (2005), 1674 (2006), 1738 (2006), 1820 (2008), 1882 (2009), 1888 (2009), 1889 (2009), 1894 (2009), 1960 (2010), 1998 (2011) 2068 (2012) და მისი პრეზიდენტის ყველა შესაბამისი განცხადება,

მადლობას უცხადებს გენერალურ მდივანს 2013 წლის 12 მარტის ანგარიშთან დაკავშირებით (S/2013/149) და ითვალისწინებს მასში მოცემულ ანალიზსა და რეკომენდაციებს, მაგრამ, ამავედროულად, შეშფოთებას გამოხატავს რეზოლუცია 1960-ის (2010) მნიშვნელოვანი ასპექტების განხორციელების ნელ ტემპთან დაკავშირებით. აღნიშნული რეზოლუცია მიზნად ისახავს სექსუალური ძალადობის პრევენციას შეიარაღებული კონფლიქტების დროს თუ პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში და მასში, გენერალური მდივნის ანგარიშის მსგავსად, აღნიშნულია, რომ ასეთ სიტუაციებში სექსუალურ ძალადობას ადგილი მთელ მსოფლიოში აქვს,

აღიარებს დეკლარაციას კონფლიქტებში სექსუალური ძალადობის პრევენციის შესახებ, რომელიც მიღებულია ლონდონში, 2013 წლის 11 აპრილს G8-ის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ და, ასევე, დეკლარაციასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს,

აღიარებს, რომ სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებულ დანაშაულზე თანმიმდევრული და მკაცრი სასჯელის დაკისრება, სახელმწიფოს მიერ გათავისება და იმ პრობლემებზე რეაგირებასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობის აღება, რომლებიც შეიარაღებულ კონფლიქტში მომხდარი სექსუალური ძალადობის გამომწვევია, მნიშვნელოვანია სექსუალური ძალადობის არდაშვებისა და პრევენციისთვის, რადგანაც

ზემოაღნიშნული ხელს უწყობს იმ მითის გაქარწყლებას, რომლის მიხედვითაც სექსუალური ძალადობა შეიარაღებული კონფლიქტების თანმდევ მოვლენას, ან ომის და ნაკლებად სერიოზული დანაშაულის გარდაუვალ შედეგს წარმოადგენს,

ადასტურებს, რომ ქალების პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური გაძლიერება, გენდერული თანასწორობა და კაცებისა თუ ვაჟების ჩართულობა ქალთა მიმართ ჩადენილი ყველა ფორმის ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში პრიორიტეტს წარმოადგენს შეიარაღებულ კონფლიქტსა და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში სექსუალური ძალადობის პრევენციის გრძელვადიან ძალისხმევასთან დაკავშირებით; *ბაზს უსვამს* რეზოლუცია 1325-ის (2000) სრულად განხორციელების მნიშვნელობას და დადებითად აფასებს რეზოლუცია 1325-ისა (2000) თუ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ მიღებული რეზოლუციების შესრულების ინდიკატორებზე მიმდინარე საქმიანობას და ამ მიმართულებით გაეროს ქალთა ორგანიზაციის ძალისხმევას,

აღნიშნავს, რომ სექსუალური ძალადობა, რომელსაც ადგილი აქვს შეიარაღებული კონფლიქტის და მის შემდგომ პერიოდში, პირველ რიგში, ვნებს ქალებსა და გოგონებს, განსაკუთრებით მოწყვლად და გამიჯნულად შერჩეულ ჯგუფებს, მაგრამ, ასევე, გავლენას ახდენს კაცებსა და ბიჭებზე, რომლებიც მეორად ტრავმას იღებენ, როდესაც თავიანთი ოჯახის წევრების მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობის იძულებითი მოწმეები ხდებიან; *ბაზს უსვამს*, რომ ასეთ სიტუაციებში მომხდარი სექსუალური ძალადობის აქტები არა მხოლოდ საზოგადოების განვითარების პროცესში ქალთა ჩართულობას ზღუდავს, არამედ აბრკოლებს ხანგრძლივი მშვიდობისა თუ უსაფრთხოების დამკვიდრებასა და მდგრად განვითარებას,

აღიარებს, რომ უპირველესად სახელმწიფოებს ეკისრებათ მოვალეობა, საერთაშორისო კანონმდებლობით განსაზღვრული იურისდიქციის ფარგლებში, დაიცვან და უზრუნველყონ მათ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანის უფლებები; *ადასტურებს*, რომ სამოქალაქო პირების დაცვის უზრუნველყოფა შეიარაღებული კონფლიქტის მხარეთა მოვალეობაა,

ადასტურებს თავის პატივისცემას ყველა ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიმართ უშიშროების საბჭოს წესდების შესაბამისად,

ბაზს უსვამს სექსუალური ძალადობის სხვადასხვა დანაშაულის გათვალისწინებას საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს (ICC) რომის სტატუტსა და საერთაშორისო სისხლის სამართლის სპეციალური ტრიბუნალების წესდებებში,

აღნიშნავს, რომ, იარაღით ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების მიხედვით, ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებმა, რომლებიც იარაღის ექსპორტს ახორციელებენ,

მხედველობაში უნდა მიიღონ ის რისკი, რომელიც კონვენციით გათვალისწინებული იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით, გენდერული დანაშაულის ან ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ ძალადობის სერიოზული აქტების ჩადენისა და ხელშეწყობის კუთხით არსებობს,

კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონით აკრძალვას,

ხაზს უსვამს ადამიანის უფლებების წინდახედულობის ზომების პოლიტიკას ს, რომელიც ეხება გაერთიანებული ერების მიერ უსაფრთხოების სხვა ძალებისთვის მხარდაჭერის გაწევას და გამოიყენება, როგორც მექანიზმი, რათა გაიზარდოს შესაბამისობა საერთაშორისო ჰუმანიტარულ ადამიანის უფლებათა და ლტოლვილთა სამართალთან, მათ შორის, შეიარაღებულ კონფლიქტსა და პოსტკონფლიქტურ პერიოდში სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით,

მხედველობაში იღებს გენერალური მდივნის ანგარიშს და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ წინამდებარე რეზოლუცია მიზნად არ ისახავს, იურიდიულად შეაფასოს, წარმოადგენენ თუ არა გენერალური მდივნის ანგარიშში აღწერილი შემთხვევები შეიარაღებულ კონფლიქტებს ქენევის კონვენციებისა და დამატებითი პროტოკოლების მიხედვით, ან წინასწარ განსაჯოს ამ შემთხვევებში მონაწილე არასახელმწიფო მხარეების იურიდიული სტატუსი,

1. *ადასტურებს*, რომ სექსუალურ ძალადობას, რომელიც გამოიყენება როგორც ომის მეთოდი ან ტაქტიკა, ან როდესაც ის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი ფართომასშტაბიანი ან სისტემური იერიშის ნაწილს წარმოადგენს, შეუძლია გამოიწვიოს შეიარაღებული კონფლიქტის მნიშვნელოვნად გამწვავება თუ გაგრძელება და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენის შეფერხება; ხაზს უსვამს, რომ ასეთი ქმედებების პრევენციასა და რეაგირებასთან დაკავშირებით გადადგმულ ეფექტურ ნაბიჯებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაში; აღნიშნავს ქალების მონაწილეობის მნიშვნელობას ნებისმიერი სახის პრევენციისა და დამცავი ზომების გატარების პროცესებში;

2. *აღნიშნავს*, რომ სექსუალური ძალადობა დანაშაულსა და გენოციდის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს; კიდევ ერთხელ შენიშნავს, რომ შეიარაღებულ კონფლიქტებში გაუპატიურება და სხვა სახის სერიოზული სექსუალური ძალადობა ომის დანაშაულს წარმოადგენს; მოუწოდებს წევრ ქვეყნებს, დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით საკუთარი მოვალეობები იმ საქმეების გამოძიებითა და იმ პირთა წინააღმდეგ სასამართლო საქმეების წარმოებით შეასრულონ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ასეთი დანაშაულის ჩადენაზე; მოუწოდებს წევრ ქვეყნებს, სისხლის სამართლის ეროვნულ კანონმდებლობაში გაითვალისწინონ სექსუალური

ძალადობის ყველა სახის დანაშაული, მათი სათანადოდ გამოძიების მიზნით; აღიარებს, რომ შეიარაღებულ კონფლიქტში ჩადენილი სექსუალური ძალადობის ეფექტური გამოძიება და დოკუმენტაცია ძალზე მნიშვნელოვანია დამნაშავე პირების გასამართლებისა და დანაშაულის მსხვერპლისთვის სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით; რომ ბრძოლა დაუსჯელობის წინააღმდეგ ქალებისა და გოგოების მიმართ ჩადენილ იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელიც საერთაშორისო საზოგადოების შემფოთების საგანს წარმოადგენს, გაძლიერებულია საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს, სპეციალური და შერეული ტრიბუნალების, ეროვნული ტრიბუნალების სპეციალიზებული პალატების საქმიანობის მეშვეობით; კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის განზრახვას, გააგრძელოს დამაჯერებელი ბრძოლა დაუსჯელობის წინააღმდეგ და განამტკიცოს პასუხისმგებლობა სათანადო ზომების გატარებით;

3. აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს საგანგებოდ შექმნილი და შერეული ტრიბუნალების, ასევე სპეციალიზებული ეროვნული ტრიბუნალების მიერ ქალებისა და გოგოების წინააღმდეგ მიმართულ ყველაზე სერიოზულ დანაშაულებებზე დაუსჯელობა შემცირდა და ადასტურებს მის განზრახვას, განაგრძოს ბრძოლა დაუსჯელობის წინააღმდეგ თუ ანგარიშვალდებულების გასაძლიერებლად;

4. ყურადღებას ამახვილებს შეიარაღებულ კონფლიქტსა და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში გარდამავალი მართლმსაჯულების კომპლექსური მიდგომის გამოყენების მნიშვნელობაზე, რომელიც, საჭიროებისამებრ, სხვადასხვა სახის სასამართლო და არასასამართლო ღონისძიებას აერთიანებს;

5. ყურადღებას ამახვილებს, რომ აუცილებელია გაძლიერებული სისტემატური მონიტორინგის განხორციელება და ყურადღების მიქცევა შეიარაღებულ კონფლიქტსა და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში ჩადენილ სექსუალურ ძალადობასთან, ქალებთან, მშვიდობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა ვალდებულებებზე და გამოხატავს განზრახვას, მიიღოს მის ხელთ არსებული ყველა ზომა მედიაში, პოსტკონფლიქტურ აღდგენასა და მშვიდობის მშენებლობაში ქალების მონაწილეობის უზრუნველყოფისა და შეიარაღებულ კონფლიქტში ჩადენილ სექსუალურ ძალადობაზე რეაგირებისთვის. მათ შორის, მშვიდობის შენარჩუნებისა და პოლიტიკური მანდატების, საჯარო განცხადებების, სახელმწიფო ვიზიტების, ფაქტების დამდგენი მისიების, საერთაშორისო კომისიების, გამოძიების საერთაშორისო კომისიების, რეგიონულ დაწესებულებებთან გასამართი კონსულტაციებისა და უშიშროების საბჭოს სანქციების კომიტეტების ჩამოყალიბებისა და განხილვის ჩათვლით;

6. აღიარებს უფრო ოპერატიული, ობიექტური, ზუსტი და სანდო ინფორმაციის აუცილებლობას, რომელიც წარმოადგენს დანაშაულის პრევენციის, რეაგირების, გენერალური მდივნისა და გაეროს შესაბამისი ორგანიზაციების მოთხოვნების

საფუძველს, რათა დაჩქარდეს მონიტორინგის, ანალიზისა თუ ანგარიშგების სისტემების ჩამოყალიბება და მათი განხორციელება კონფლიქტის დროს ჩადენილ სექსუალურ ძალადობაზე: მათ შორის, გაუპატიურებაზე შეიარაღებულ კონფლიქტში, კონფლიქტის შემდგომ პერიოდსა და რეზოლუცია 1888 (2009) - ით გათვალისწინებულ სიტუაციებში, თითოეული ქვეყნის სპეციფიკის შესაბამისად;

7. *მოუწოდებს* რეზოლუცია 1888-ის შესაბამისად და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების მიზნით, ქალთა დამცველი მრჩევლების შემდგომ მივლინებას. მოუწოდებს გენერალურ მდივანს, უზრუნველყოს ზემოაღნიშნული მრჩევლების აუცილებლობის, რაოდენობისა და როლის სისტემატური შეფასების ჩატარება გაეროს სამშვიდობო და პოლიტიკური მისიების დაგეგმვისა და განხილვის დროს; ამას გარდა, მოუწოდებს უზრუნველყოს, ამ ექსპერტების მიერ სათანადო ტრენინგის გავლა და მათი დროული მივლინება; აღიარებს გაეროს ძალისხმევას კონფლიქტში ჩადენილი სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ შესაბამისი სამშვიდობო, ჰუმანიტარული, ადამიანის უფლებების, პოლიტიკური და უსაფრთხოების მხარეების კოორდინირებული რეაგირების კუთხით და ხაზს უსვამს გაძლიერებული კოორდინაციის, ინფორმაციის გაცვლის, ანალიზის, რეაგირების დაგეგმვისა და ამ კუთხით ქმედებების განხორციელების ხელშეწყობის აუცილებლობას;

8. *აღიარებს* გენდერის მრჩევლების განსაკუთრებულ როლს პოლიტიკის, დაგეგმვისა და მისიის ყველა კომპონენტის განხორციელების პროცესში გენდერული პერსპექტივების გათვალისწინების კუთხით; მოუწოდებს გენერალურ მდივანს გააგრძელოს გენდერული მრჩევლების ჩართვა გაეროს შესაბამის სამშვიდობო და პოლიტიკურ მისიებსა თუ ჰუმანიტარულ ოპერაციებში, ასევე, გააგრძელოს კომპლექსური გენდერული ტრენინგის ჩატარება ყველა შესაბამისი სამშვიდობო მისიისა და სამოქალაქო პერსონალისთვის;

9. *აღიარებს* გაეროს ორგანიზაციების ძალისხმევას, რომ გაეროს გამოძიების კომისიას ჰქონდეს სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულებების შესახებ ექსპერტიზა, რათა მოახდინოს მათი დოკუმენტირება და მოუწოდებს ყველა წევრ ქვეყანას, ხელი შეუწყონ ამ ძალისხმევას;

10. *კიდევ ერთხელ ადასტურებს მოთხოვნას* შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარის მიერ სექსუალური ძალადობის ნებისმიერი სახის ქმედების სრულ შეწყვეტასთან, ამ მხარეების მიერ სპეციფიკური და დროში განსაზღვრული ვალდებულებების აღება-განხორციელებასთან დაკავშირებით, რომლებიც სექსუალურ ძალადობასთან ბრძოლას ეხება; აღნიშნული ქმედებები, სხვა ზომებთან ერთად, უნდა შეიცავდეს სუბორდინაციის გათვალისწინებით ნათლად ჩამოყალიბებულ ბრძანებებს სექსუალური ძალადობის აკრძალვასთან დაკავშირებით და მათი დარღვევის შემთხვევაში არსებულ ანგარიშვალდებულებას, ასევე, ქვეყნის კოდექსებში, სამხედრო თუ პოლიციის სავსე

სახელმძღვანელოებსა და მსგავს დოკუმენტებში სექსუალური ძალადობის აკრძალვასა და ამ დანაშაულის დროულ გამოძიებას; კიდევ ერთხელ მოუწოდებს შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარეს, ზემოაღნიშნული ვალდებულებების ფარგლებში, ითანამშრომლონ გაეროს შესაბამისი მისიის იმ თანამშრომლებთან, რომლებიც ვალდებულებების მონიტორინგს ახორციელებენ და რეკომენდაციას უწევს ყველა მხარეს, საჭიროებისამებრ გამოყონ მაღალი რანგის წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ ვალდებულებების განხორციელების უზრუნველყოფაზე;

11. *ხაზს უსვამს* იმ მნიშვნელოვან როლს, რომელიც შეიძლება შეასრულონ ქალებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ და მათ შორის ქალთა ორგანიზაციებმა, საზოგადოების ფორმალურმა და არაფორმალურმა ლიდერებმა შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებზე გავლენის მოხდენის კუთხით, რათა მათ სათანადო რეაგირება ჰქონდეთ სექსუალურ ძალადობაზე;

12. *კიდევ ერთხელ აღნიშნავს* შეიარაღებულ კონფლიქტში, მოლაპარაკებების პროცესში, ცეცხლის შეწყვეტის დროსა თუ სამშვიდობო ხელშეკრულებებში სექსუალურ ძალადობაზე რეაგირების მნიშვნელობას; თხოვნით მიმართავს გენერალურ მდივანს, წევრ ქვეყნებსა და რეგიონულ ორგანიზაციებს, საჭიროებისამებრ, უზრუნველყონ შუამავლებისა და დიპლომატიური წარმომადგენლების ჩართვა სექსუალური ძალადობის საკითხების გამოძიებაში მაშინ, როცა სექსუალური ძალადობა წარმოადგენს ომის მეთოდს, ტაქტიკას ან სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი და სისტემატური იერიშის ნაწილს. აღნიშნული მოიცავს ქალებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათ შორის ქალთა ორგანიზაციებსა თუ სექსუალური ძალადობის მსხვერპლებთან თანამშრომლობასა და ამ საკითხების გათვალისწინებას შეთანხმებებში, მათ შორის უსაფრთხოებისა და გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმებში. მოითხოვს სექსუალური ძალადობის იმ ქმედებების განმარტებებში გათვალისწინებას, რომელთა განხორციელება იკრძალება ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებებსა და ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგის დებულებებში; *ხაზს უსვამს* სექსუალური ძალადობის დანაშაულებებისთვის ამნისტიის დაუშვებლობას;

13. *თხოვს* მოქმედი სანქციების კომიტეტებისგან, მათი კომპეტენციის ფარგლებში და რეზოლუცია 1960 (2010) -ის შესაბამისად, გაატარონ მიზნობრივი სანქციები იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს ან ბრძანება გასცეს კონფლიქტში ჩადენილ სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით; და კიდევ ერთხელ ადასტურებს განზრახვას შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით მიზნობრივი სანქციების შემოღებისა და გადახედვის პროცესში, საჭიროებისამებრ, გაითვალისწინოს სახელმძღვანელო კრიტერიუმები გაუპატიურებასა და სექსუალური ძალადობის სხვა სერიოზულ ფორმებთან დაკავშირებით;

14. *აღიარებს* გაეროს სამშვიდობო კონტინგენტის როლს სექსუალური ძალადობის პრევენციის პროცესში და მოუწოდებს გაეროს მისიებში მონაწილე ყველა

ქვეყნის სხვადასხვა კონტინენტს სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის შესახებ ტრენინგის ჩატარებისკენ, როგორც მისიაში მონაწილეობის დაწყებამდე, ასევე მისიის განხორციელების დროს; ზემოაღნიშნულ ტრენინგში აუცილებელია ბავშვების პრობლემების გათვალისწინებაც; კიდევ ერთხელ მოუწოდებს ქვეყნებს, რომელთა შეიარაღებული ძალები და პოლიცია გაეროს მისიებში მონაწილეობს, გაზარდონ სამშვიდობო ოპერაციებში მიიღებენ მონაწილე ქალთა რიცხვი;

15. თხოვნით მიმართავს გენერალურ მდივანს, გააგრძელოს და გააძლიეროს ძალისხმევა სექსუალურ ექსპლოატაციასა და შეურაცხყოფასთან დაკავშირებით გაეროს თანამშრომლების მიერ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის განხორციელების კუთხით და მოუწოდებს შესაბამის წევრ ქვეყნებს, უზრუნველყონ სრული ანგარიშვალდებულება, მათ შორის სისხლის სამართლებრივი დევნა, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ქმედებები მათი მოქალაქეების მიერაა ჩადენილი;

16. თხოვნით მიმართავს გენერალურ მდივანს და გაეროს შესაბამის ორგანიზაციებს, ეროვნულ ხელისუფლებებს, ქალთა ეფექტური მონაწილეობით, სექსუალური ძალადობის დანაშაულზე რეაგირების კუთხით დახმარება შემდეგი მიმართულებით გაუწიონ:

(ა) განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროცესები, დამცავი მექანიზმების ჩამოყალიბება ქალებისა თუ ბავშვებისთვის ბანაკებში, ასევე იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ბანაკების სიახლოვეს ცხოვრობდნენ და თავიანთ თემებში დაბრუნდნენ; ასევე, ტრავმებსა და რეინტეგრაციასთან დაკავშირებით იმ ქალებისა და ბავშვებისთვის დახმარების გაწევა, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ შეიარაღებულ ჯგუფებთან და ჯარისკაცებთან;

(ბ) უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესები და მოლაპარაკებები, უსაფრთხოების თანამშრომლებისთვის ადეკვატური ტრენინგის ჩატარება, მეტი ქალის ჩართვა უსაფრთხოებისა და ეფექტური გამოძიების პროცესებში და უსაფრთხოების სექტორიდან იმ პირთა არჩართვის უზრუნველყოფა, რომლებმაც ჩაიდინეს ან პასუხისმგებელი არიან სექსუალური ძალადობის ქმედებებზე;

(გ) სასამართლო სექტორის რეფორმის ინიციატივები, მათ შორის კომპლექსური საკანონმდებლო და პოლიტიკის ის რეფორმები, რომლებიც სექსუალურ ძალადობაზე რეაგირების საკითხებთანაა დაკავშირებული; ტრენინგი სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის საკითხებში სასამართლო და უსაფრთხოების სექტორების პროფესიონალებისთვის და მეტი ქალის ჩართვა ამ სექტორების ყველა დონეზე; იმ სასამართლო საქმეების წარმოება, რომლებიც ითვალისწინებს მოწმეების, შეიარაღებული კონფლიქტისა და კონფლიქტის შემდგომი პერიოდის სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისა თუ მათი ოჯარის წევრების გამოკვეთილ, აშკარა საჭიროებებსა და დაცვას;

17. აღიარებს, რომ ქალები და ბავშვები, რომლებიც შეიარაღებულ ჯგუფებსა და ძალებში იძულებით წაიყვანეს, განსაკუთრებით დაუცველნი არიან შეიარაღებული კონფლიქტისა და მისი შემდგომი პერიოდის სექსუალური ძალადობის მიმართ. მოითხოვს, შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებმა დაუყოვნებლივ გამოავლინონ და გაანთავისუფლონ ასეთი კატეგორიის პირები თავიანთი რიგებიდან;

18. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, გაითვალისწინონ გაეროს ექსპერტების ჯგუფის ის გამოცდილება, რომელიც რეზოლუცია 1888 (2009) - ის საფუძველზე, კანონის უზენაესობის, სამოქალაქო და სამხედრო სასამართლოს სისტემების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ჩამოყალიბდა; რეაგირება მოახდინონ შეარაღებულ კონფლიქტსა და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში ჩადენილ სექსუალურ ძალადობაზე, რაც იმ ფართო ძალისხმევის ნაწილს წარმოადგენს, რომელიც მიმართულია დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებაზე;

19. აღიარებს დროული დახმარების გაწევის აუცილებლობას სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის, მოუწოდებს გაეროს ორგანიზაციებსა და დონორებს, გაუწიონ მათ არადისკრიმინაციული და კომპლექსური ჯანდაცვის მომსახურება, რაც მოიცავს: სექსუალური ძალადობის მსხვერპლისთვის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ფსიქოსოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური სერვისების მხარდაჭერას, შშმ პირთა სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით; რეკომენდაციას უწევს ეროვნული დაწესებულებისა და ადგილობრივი სამოქალაქო კავშირებისთვის დახმარების გაწევას რესურსების ზრდისა და შესაძლებლობების გაძლიერების გზით, რათა სექსუალური ძალადობის მსხვერპლისთვის შესაძლებელი იყოს ზემოაღნიშნული მომსახურების გაწევა; მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებსა და დონორებს, მხარდაჭერა გაუწიონ იმ ეროვნულ და საერთაშორისო პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლისთვის დახმარების გაწევას. მაგალითად, როგორცაა რომის კონვენციის შესაბამისად ჩამოყალიბებული მსხვერპლთა ნდობის ფონდი და მისი განმახორციელებელი პარტნიორები; თხოვნით მიმართავს გაეროს შესაბამის ორგანიზაციებს, გაზარდონ რესურსები გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობაზე რეაგირებისა და შესაბამისი სერვისების მიწოდების კოორდინაციის მიზნით;

20. აღნიშნავს კავშირს შეიარაღებულ კონფლიქტსა და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში ჩადენილ სექსუალურ ძალადობასა და აივ ინფეციას შორის, შიდსისა და აივ ინფექციის არაპროპორციულ ტვირთს ქალებსა და გოგოებზე, რაც გენდერული თანასწორობისთვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს. მოუწოდებს გაეროს ორგანიზაციებს, წევრ სახელმწიფოებსა და დონორებს, შეიარაღებულ კონფლიქტთან და კონფლიქტის შემდგომ პერიოდთან დაკავშირებული, აივ ინფექციის მატარებელი და შიდსით დაავადებული ქალებისა და გოგოებისთვის მდგრადი დახმარების გაწევის უზრუნველყოფის მიზნით, გააძლიერონ ეროვნული ჯანდაცვის სისტემებისა თუ

სამოქალაქო საზოგადოების ქსელების განვითარება;

21. *ბაზს უსვამს* სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მათ შორის ქალთა ორგანიზაციებისა და ქსელების როლის მნიშვნელობას შეიარაღებულ კონფლიქტსა და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ;

22. *თხოვნით მიმართავს* გენერალურ მდივანს, გააგრძელოს საბჭოსთვის წლიური ანგარიშების წარდგენა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციებისა და წინამდებარე რეზოლუციის განხორციელებასთან დაკავშირებით; მისი შემდეგი ანგარიში წარადგინოს 2014 წლის მარტისთვის;

23. *იღებს* გადაწყვეტილებას ამ საკითხებში აქტიური მონაწილეობის შესახებ.